ლელო

№ 74
(11034)

16 — 19 ნოემბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოკრივეები — ჰავანაში, მსროლელები — ათენში

ორ დიდ პრესტიჟულ ასპარეზობაში გამოვიდნენ ამ დღეებში ქართველი სპორტსმენები

ქუბის დედაქალაქი 1978-79 წელს დაბადებულ ჭაბუკთა მსოფლიო პირველობას მასპინძლობდა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 5 მოკრივე იბრძოდა. მათგან საუკეთესო იყო პირველი საშუალო წონის ფოთელი ზაზა კუჭავა, რომელმაც უკრაინელი კონსტანტინ რიჟკო დაჯაბნა და ნახევარფინალში გავიდა. იქ კი ქულათა მცირე სხვაობით (10:8) თურქ მოკრივეს ფირატ ყარაღოლუს დაუთმო შეხვედრა და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

რაც შეეხება მის თანაგუნდელებს: ქუთაისელებს თეიმურაზ ხურცილავას (51 კგ), ავთანდილ კაშიას (57), თბილისელ ოთარ ნავაძეს (63,5) და ფოთელ ვლადიმერ ჰანტურიას (81), ისინი პირველ შეხვედრებშივე დამარცხდნენ შესაბამისად კანადელ ანდრეი კონერთან, ვენესუელელ იულ ფლორესთან, ინგლისელ რიჩარდ ჰატონთან, გერმანელ კოჰორ ზაჰერთან და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

გუნდს ახლდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მირზა ფალიანი.

...მშვიდობისა და მეგობრობის თასი. ასე ეწოდება ტყვიის მსროლელთა ტრადიციულ საერთაშორისო პრიზს, რომლისთვისაც მეშვიდედ, ამჯერად ათენში, იბრძოდნენ მსოფლიოს უძლიერესი ჩოუბინები. ასპარეზობაზე ქართველ მსროლელთა დებიუტი ბრწყინვალე შედეგებით აღინიშნა სამმა ნინომ — სალუქვაძემ, უჩაძემ და ღალაშვილმა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა სალუქვაძემ მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში 682 ქულით ოქროს მედალი და თასი დაისაკუთრა. ნ. უჩაძეს (674 ქ) მესამე საპრიზო ადგილი ერგო.

სალუქვაძეს არც თავის საყვარელ სახეობაში — პნევმატური პისტოლეტით სროლაში შეურცხვენია თავი და 484,6 ქულით გამარჯვება მოიპოვა.

იუნიორთა შორის მესამე იყო ღალაშვილი (551 ქ)

კალათბურთი • ევროპის თასი • VIII ჯგუფი • VII ტური

ლონდონ თაუერზი — ვითა 72:60, რიელო — ბუდუჩნოსტი 85:75, ფოთ — კიორმენდი 93:81

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
რიელო (იტალია)	7	6	1	13
ფოთ (თურქეთი)	7	4	3	11
ლონდონ თაუერზი (ინგლისი)	7	3	4	10
ვითა (საქართველო)	7	2	5	9
ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)	7	2	5	9

მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ევროპის ჩემპიონს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს და პრიზიორს, ვეტერან კალათბურთელს ნოდარ ჯორჯიკიას

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი • XV ტური

დილა (გორი) — სამგურალი (წყალტუბო)	3-1
სიონი (ბოლნისი) — ტორპედო (ქუთაისი)	2-4
ივერია (ხაშური) — დინამო (ბათუმი)	0-0
გურია (ლანჩხუთი) — კოლხეთი-1913 (ფოთი)	0-1
კახეთი (თელავი) — მარგვეთი (ზესტაფონი)	0-1
ოდიში (ზუგდიდი) — გორდა (რუსთავი)	5-1

ჩივაძის ნაკრებს არგენტინაში ეპატიჟებიან, გუცაევისას — ლიბანში

ეტყობა არგენტინელებს კავკასიელები შეუყვარდათ. ჯერ იყო და გაზაფხულზე სომხები იხმეს თავისთან და გაჭირვებით — 2-1 გაუსწორდნენ. ამ დღეებში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამოაგზავნეს ფაქსი — თქვენი ეროვნული ნაკრები ჩამოვიდეს სათამაშოდო. ჩვენებს ჯერჯერობით თანხმობა არ უთქვამთ.

დაპატიჟებულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, ოღონდ ასე შორს არა — 4 დეკემბერს იგი გაემგზავრება ლიბანს, სადაც 6 და 9 დეკემბერს შეხვდება ქვეყნის ჩემპიონსა და ეროვნულ ნაკრებს. თუ რა შემადგენლობით წავა ლიბანში გუცაევის ნაკრები, შეგატყობინებთ.

ხუნდაძე სტავროპოლში დარჩა, ხოლო ამაშუკელი სამშობლოში დაბრუნდა

30 წლის ქუთაისელმა გოლიადორმა მამუკა ხუნდაძემ „ტორპედოში" რომ ფინანსური გაჭირვება ნახა, შარშან გამოსავალი იპოვა: სტავროპოლს მიაშურა და ადგილობრივ „დინამოსთან" ხელი მოაწერა ორწლიან კონტრაქტს. წლევანდელ საფეხბურთო სეზონში მამუკამ 12 გოლი გაიტანა და გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდა.

24 წლის ნახევარმცველმა ბესიკ ამაშუკელმა კი გასული სეზონი რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ტოლიატის „ლადაში" გაატარა. როგორც იცით, ამ გუნდმა წარუმატებლად იასპარეზა და უფრო დაბალ ლიგაში მოუწევს გაისიდან თამაში. ასეთი პერსპექტივა, ეტყობა, ბესიკს არ აწყობდა. ამიტომ იგი საქართველოში დაბრუნდა და, როგორც ამბობენ, ფოთის „კოლხეთი-1913"-ში ჩაირიცხა.

ინგლისში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესდნენ

პარასკევს დილით ლონდონს გაფრინდნენ თბილისის „დინამო-2"-ის ახალგაზრდა ფეხბურთელები რატი ალექსიძე და არჩილ სახვაძე. ისინი პრემიერლიგის ცნობილ კლუბ „ჩელსიში" ნახევარ წელს დაჰყოფენ და, შესაძლოა, ამ ვადის გასვლის შემდეგ კონტრაქტიც გააფორმონ ინგლისის დედაქალაქის ამ საფეხბურთო კლუბთან.

თსუ-შევარდენი - სამტრედია 2-0

შევარდენი: სიდამონიძე, თელიაშვილი, ვერემჩუკი, კოპიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი (გაგუა), კობესაშვილი, კანკავა, ქორიძე, ჩიგოშვილი.
სამტრედია: სტურუა, ანჯაფარიძე, გუგეშიძე, ხვადაგიანი, პაილიაშვილი, დარსაძე, ჩომახიძე, ივერიანი, გვასალია, ფანჩულიძე, ბერიშვილი.
გოლები: კანკავა 75 (1-0), ქორიძე 78 (2-0)
გაფრთხილება: ანჯაფარიძე, ხვადაგიანი, ბერიშვილი.
გაძევება: ბერიშვილი.
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, დ. თოდუა, ი. შალამბერიძე (ყველანი — თბილისიდან).

მატჩის პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა. მასპინძელთა შემადგენლობაში კვლავ ვერ ვიხილეთ გუნდის ლიდერი ჯუმბერ ჩუხუა (მას სერიოზული ტრავმა აქვს მიღებული).

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო, ტაიმის მიწურულს უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ, რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ. მეორე ნახევარი თბილისელებმა ალმავლობით დაიწყეს და აშკარად დაჯაბნეს მეტოქე. მათი შეტევები ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. სტუმრებს თამაში არ წაუვიდათ და ამის სანაცვლოდ უხეშობა დაიწყეს. მატჩის არბიტრმა თამაზ ლორთქიფანიძემ ორი სამტრედიელი გააფრთხილა, ბერიშვილი კი მეორე გაფრთხილების მიღების შემდეგ მოედნიდან გააძევა.

მასპინძელთა აქტიურმა თამაშმა, როგორც იქნა, ნაყოფი გამოიღო. პირველი გოლი 75-ე წუთზე კანკავამ გაიტანა, რომელმაც კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარში მოათავსა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, როცა შევარდნელებმა მეორედ აიღეს სტუმრების კარი. ამჯერად სტუმართა მეკარესთან პირისპირ გასულმა ქორიძემ იხეირა.

გოგა ლომიძე

მერანი-91 (თბილისი) - დინამო (თბილისი) - 0-0

მერანი-91: დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, ჯიშკარიანი, კაკუბავა, გოგიბერიშვილი, კვარაცხელია, ხორხელი (დავითაშვილი), ჭოლოკავა (ბუტიკაშვილი), დანელია, პერტია (ამბიძე).
დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, ჯელაძე, გოგიჩაიშვილი, კობიაშვილი, ჯამარაული, ხომერიკი (დემეტრაძე), ანჩაბაძე (ცქიტიშვილი), იაშვილი (კერძევაძე).
მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).
გაფრთხილება: კალაძე

როცა სეზონის დაწყების წინ „მერანი-91"-ის ხელმძღვანელობას შევხვდით, მათ მოკრძალებულად გვითხრეს, რომ გუნდის მთავარი მიზანი პირველ ჯგუფში ადგილის დამკვიდრება იქნებოდა, მაგრამ ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ევროპისკენ მიმავალი გზა არც თუ ისე შორია ტრანსპორტელთა გუნდისათვის.

თბილისური დერბი „სინათლეს" სტადიონზე ნამდვილად შედგა და მიუხედავად „მშრალი" ანგარიშისა, მატჩზე მოსულ მაყურებელს ნამდვილად არ მოუწყენია.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს, როცა დანელია-კაკუბავას კომბინაციას ზოიძის კარის გასწვრივ არავინ გამოეხმაურა. შემდეგ პერტიამ მოინდომა დინამოელთა ოდნავ წინ გამოწეული მეკარისათვის ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ მისი დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. დინამოელთა შეტევები თანდათან უფრო სახიფათო ხდებოდა. ჯერ ჯამარაულმა მერანელთა კარიდან 20-22 მეტრის მოშორებით დანიშნული ჯარიმა შეასრულა უხეიროდ, მერე გოგიჩაიშვილმა კარგი გადაცემა გაუკეთა დიდავას, რომელიც ფაქტიურად მარტო აღმოჩნდა მასპინძელთა საჯარიმოში, მაგრამ ბურთის დამორჩილება ვერ მოახერხა. პირველი რეალური საგოლე მომენტი მერანელებმა სწორედ ამის შემდეგ შექმნეს — პერტიას ჩამოწოდებულ კუთხურსა და მეორე სართულზე ბრძოლას დაახლოებით 13-14 მეტრიდან ჭოლოკავას უძლიერესი დარტყმა მოჰყვა. მასპინძელთათვის სამწუხაროდ, დარტყმა არაზუსტი გამოდგა,

მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელთა გამუდმებული შეტევებით დაიწყო. აქტიურობდა ანჩაბაძის ნაცვლად შემოსული ცქიტიშვილი. გოგიჩაიშვილმა და ჯამარაულმა კარგი კომპოზიცია კი გაითამაშეს მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ გოჩა ინდივიდუალური თამაშით გაერთო.

დინამოელები ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მათი შეტევები პროდუქტიული არ იყო და „სუმბურულ" ხასიათს ატარებდა. ეს სიტუაცია კარგად იგრძნო მერანელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ და მოედანზე „აბრეზა" (დავითაშვილი) გამოიყვანა, რის შედეგადაც მასპინძლებმა შეძლეს თავიანთი მთავარი კოზირის — კონტრშეტევების მთელი დატვირთვით ამოქმედება, როცა დავითაშვილმა დინამოელ მცველს ადვილად აუარა გვერდი და ზოიძის კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც ბურთს კვარაცხელია დახვდა და დაახლოებით 7 მეტრიდან ააცილა იგი მეტოქის კარს. მერანელებს „აბრეზას" შემოსვლამდეც ჰქონდა გოლის გატანის რეალური შანსი — გუნდის კაპიტანმა ივანიშვილმა ბრწყინვალე გრძელი პასი გაუგზავნა კვარაცხელიას და ეს უკანასკნელი ზოიძესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ დინამოელთა მეკარე დაუძლეველი გამოდგა.

დინამოელები შეტევებს განაგრძობდნენ და ძირითადი აქცენტი მოწინააღმდეგის საჯარიმოში ბურთის „ჩაგდებაზე" გადაჰქონდათ, რასაც არავითარი შედეგი არ მოჰქონდა. მერანელებმა კი კიდევ ერთხელ გვიჩვენეს თუ რაოდენ სახიფათოა მათი კონტრშეტევები — „აბრეზამ", რომელიც დინამოელთა მცველებს შორის იყო მოქცეული, კარგად დაამუშავა ბურთი და დროულად გადასცა მოწინააღმდეგეთა საჯარიმოში შეჭრილ კაკუბავას, რომელსაც ფაქტიურად არავინ არ უშლიდა, მაგრამ მისი დარტყმული დიდი მანძილით ასცდა ზოიძის კარს. სტუმრები კი, რომლებიც კვლავ გამუდმებით უტევდნენ, დამამთავრებელ ფაზაში უხეიროდ მოქმედებდნენ, თუმცა მათაც ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, როცა ცქიტიშვილის დარტყმული ბურთი ერთ-ერთმა მერანელმა მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. მატჩის ბოლო წუთებზე კერძევაძეს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ გოგიჩაიშვილის ჩამოწოდებულ ბურთს თავი ცუდად დაუხვედრა და ვერ მოახერხა ახლო მანძილიდან დოლიძის კარის დალაშქვრა.

ამრიგად, პირველი ჯგუფის დებიუტანტმა შეაჩერა „დინამოს" მოგებათა სერია და სასურველ ფრეს მიაღწია, თუმცა გუნდების აშკარა საგოლე მომენტების თანაფართობას თუ მივიღებთ მხედველობაში, პატარა სენსაციის მოხდენაც შევძლოთ.

დათო თავართქილაძე

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბილისი)	12	11	1	0	49-9	34
კოლხეთი-1913	15	10	2	3	34-19	32
დინამო (ბათუმი)	13	10	2	1	36-5	32
მარგვეთი (ზესტაფონი)	14	9	1	4	26-13	28
მერანი-91 (თბილისი)	15	7	4	4	22-17	25
ოდიში (ზუგდიდი)	14	7	1	6	26-14	22
გურია (ლანჩხუთი)	15	6	2	7	16-26	20
დილა (გორი)	15	5	5	5	14-19	20
ტორპედო (ქუთაისი)	15	6	1	8	32-34	19
სამტრედია	15	6	0	9	16-28	18
თსუ-შევარდენი (თბილისი)	14	4	5	5	16-18	17
გორდა (რუსთავი)	15	5	1	9	25-35	16
სამგურალი (წყალტუბო)	15	4	2	9	14-33	14
კახეთი (თელავი)	15	4	0	11	6-34	12
ივერია (ხაშური)	15	3	3	9	12-28	12
სიონი (ბოლნისი)	15	3	2	10	11-22	11

უეფამ ზვიად ჯელაძეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია „აჩუქა"

როგორც ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ, უეფას თასზე პორტუგალიაში გამართულ „ბოავიშტა" — „დინამოს" მატჩში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო მოედანი დაატოვებინეს ზვიად ჯელაძეს. ცხადია, ამისათვის მას მადლობას არავინ ეტყოდა. ასეც მოხდა — უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ჩვენს თანამემამულე ფეხბურთელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა.

რასაკვირველია, მარტო ჯელაძის საკითხის განსახილველად არ შეიკრიბებოდნენ: უეფამ მოედნიდან გაძევებულ თუ მეორე გაფრთხილება მიღებულ ფეხბურთელს სხვადასხვა სადისციპლინო სასჯელი დაურიგა.

ასე, ჩემპიონთა ლიგის მატჩში („აიაქსი" — „რეინჯერსი") პოლ გასკოინმა ჰოლანდიური კლუბის მოთამაშე ვინსტონ ბოგარდს ალიყური აჭამა. ამიტომ „გაზას" ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია „აჩუქეს". სამ-სამი მატჩით „დაისვენებენ" სირილ ჟუენ შამი („ნიმი") და რიშარდ სტანეკი („ლეგია"). ჯელაძის გარდა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერგოთ იან-ივარ იაკობსენს („რუსენბორგი"), ვინკო მარინოვიჩს („ცრვენა ზვეზდა"), ზლატკო იანკოვს („ბეშიქტაში"), სერგეი გურენკოს (მოსკოვის „ლოკომოტივი"). თითო მატჩს გამოტოვებენ ანდონი სუბისარეტა („ვალენსია"), პოლ ინსი („ინტერი") და... მოსკოვის რკინიგზელთა მწვრთნელი იური სიომინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გვახარია

მოულოდნელად ჩაქრა ქართული სპორტის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წარსულში გამოჩენილი წყალბურთელის ნოდარ ვალერიანის ძე გვახარიას სიცოცხლე.

განუყოფელია ამ პიროვნების სახელი და ქართული წყალბურთის ყველაზე საუკეთესო წლები. ნ. გვახარიამ ბრწყინვალე სპორტული კარიერა განვლო და შორსაც გაუთქვა სახელი ეროვნულ სპორტს — იყო სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, ევროპის და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის თასის გამარჯვებული და სტუდენტთა ფესტივალის ლაურეატი. შემდეგ ნ. გვახარიამ შესანიშნავი მონაცემები გამოავლინა, როგორც წყალბურთელთა თაობების აღმზრდელმა. ერთხანს კი სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელად იმუშავა. „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში და შინაგან საქმეთა ორგანოებში წლები გაატარა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მიღებული ჰქონდა მთავრობის არაერთი ჯილდო.

დიდ სპორტში თუ შრომით საქმიანობაში ნ. გვახარიას გამოარჩევდა ღრმა პროფესიონალიზმი. მას პატივს მიაგებდნენ არა მხოლოდ სპორტში და სამოღვაწეო ასპარეზზე დამსახურებისათვის, არამედ ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობებისათვის, თავმდაბლობისათვის, პრინციპულობისათვის. ბოლო დროს მისი პიროვნული საუკეთესო თვისებები სრულად წარმოჩნდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში წამყვან სპეციალისტად მუშაობისას.

ქართული სპორტის ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ნოდარ გვახარიას დიდ დამსახურებას, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა არა მარტო ეროვნული სპორტის ისტორიაში. მისი ნათელი ხსოვნა და ღვაწლი სამარადისოდ დარჩება.

ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ბ. შოშიტაიშვილი, ბ. გულუა, რ. მიმინოშვილი, ზ. შენგელია, კ. ასათიანი, ნ. ბაფრინდაშვილი, კ. თარზამაძე, ჯ. მიქელაძე, ჯ. ბაგრატიონი, ვ. ისელიძე, ო. მიმინოშვილი, ვ. გოიაშვილი, რ. თუშურაშვილი, მ. მაჩაიძე, ვ. კანკავა, ო. დიდებულიძე.

შეიქმნა სახელმწიფო დამკრძალავი კომისია

ნოდარ გვახარიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეიქმნა სახელმწიფო დამკრძალავი კომისია საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კ. ასათიანის ხელმძღვანელობით.

ნ. გვახარიას დამკრძალავი კომისიისაგან

ნ. გვახარიას დამკრძალავი კომისია იუწყება, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე 17 და 18 ნოემბერს, 16 საათზე გამოსვენება 19 ნოემბერს 15 საათზე (ფალიაშვილის, 39).

დაკრძალვა — საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

გამოსათხოვარი

რამდენიმე თვე ვიმუშავეთ გვერდიგვერდ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში. კაცი, რომელსაც ვიცნობდი სპორტის დიდ „პრაქტიკოსად“ (ანუ გამოჩენილ სპორტსმენად!), ჩემს თვალწინ სპორტის შესანიშნავ თეორეტიკოსად გადაიქცა; „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“ რომ გვაქვს და არცთუ ურიგო, მისი დამსახურებაც არის. რამდენი ჰკუამახვილური ჩანაფიქრი, რეალური გეგმა უტრიალებდა გონებაში. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტობას ეპირებოდა, ჯანსაღი მღელვარებით ღელავდა.

ალკოჰოლიან სასმელებს, სიგარეტს ახლოს არ იკარებდა, სისტემატურად და ინტენსიურად ვარჯიშობდა — გულმა როგორ უმტყუნა ამ ქართული წყალბურთის ჰერკულესს. შეადგინეთ ყველა დროის გამოჩენილ ქართველ სპორტსმენთა ნებისმიერი ნუსხა, აბრწყინეთ ნებისმიერი თანავარსკვლავედი — ნოდარ გვახარიას ყველგან საპატიო ადგილი შეხვდება, მისი სახელი სხვათა ტოლფერდად იკაშკაშებს.

ცოტა ხანს იმუშავა-მეთქი პარლამენტის კომიტეტში და რამდენი სიკეთის, როგორი სიყვარულისა და რანაირი პატივისცემის დატოვება მოასწრო.

ძვირფასო ნოდარ, ცხოვრებიდან წასასვლელი გზა ყველას გველის და ნეტავი მას, ვისაც ამ გზაზე შენსავით გააცილებს ამდენი წუხილი და ამდენი მადლობა.

თამაზ ებანოიძე

ძიება

ახალგაზრდობა სპორტში ხედავს პერსპექტივას

სპორტის სფეროში ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (რექტორი პროფესორი ო. გოგიაშვილი) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ახალი ცხოვრების დამკვიდრების საწყისიდანვე თავად დაიწყო ორიენტაციის ძიება, სხვისი მითითებების და მზა დირექტივების მომლოდინე არ დარჩენილა. ვინც ამ უმაღლესი სასწავლებლის მუშაობაში, ასე თუ ისე, ჩახედულია, კარგად იცის, რომ აკადემიას არა მხოლოდ XXI საუკუნის სპეციალისტების, არამედ მომავალ საუკუნეში საქართველოს სპორტული ტრადიციების გამგრძელებლების აღზრდა — დაოსტატებაშიც შეაქვს „ლომის წილი“. სამაგალითოდ, თუნდაც აკადემიასთან არსებული ბავშვთა სპორტსკოლა (დირექტორი ნ. ლობჟანიძე) იკმარებდა.

ადრე აქვე მოქმედებდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებიც. მიზეზთა და მიზეზთა გამო კურსების ფუნქციონირება შეწყდა, მაგრამ მისი აღდგენის აუცილებლობა, რამდენადაც ვიცით, არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. ჩვენ რამ გაგვახსენა ეს საკითხი? ახალგაზრდებმა, რომლებსაც სურთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაიარონ მომზადება, გარანტირებული ჰქონდეთ სამუშაო ადგილი. სხვათა შორის, მათში, ვინც რედაქციას დახმარებისა და რჩევისათვის მიმართა, არიან სხვა დარგის სპეციალისტებიც, მაგრამ წარსულში ცნობილი სპორტსმენები. მაგალითისათვის ვიტყვით: ყოფილ სპორტსმენს შინ უდევს ექიმის, ინჟინრის, ტექნოლოგის, აგრონომის თუ სხვა სპეციალისტის დიპლომი, მაგრამ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავს, რომ იგი ამ სფეროში დასაქმდება. და აი, გადაწყვიტა სპორტს დაუბრუნდეს როგორც სპეციალისტი, რათა მიეცეს სამუშაოზე მოწყობის დამატებითი შესაძლებლობა. ზემოხსენებული აკადემია, როცა კურსების აღდგენის საკითხს დადებითად გადაწყვეტს (როგორც შევიტყვეთ ეს მალე მოხდება), ალბათ ასეთი კატეგორიის მსურველთა ინტერესებსაც გაითვალისწინებს, თუნდაც ასეთი კურსები ფასიანი იყოს.

ჯერჯერობით ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით.

PONTO TOTO

საფეხბურთო ლატარია

ყოველ პარასკევს – კინოს სახლში

ესაა ახალი ლატარია, რომელიც თქვენ აუცილებლად დაგაინტერესებთ. ბილითები გაიყიდება მეტროს სადგურებთან: ახმეტელის თეატრი, ვაგზლის მოედანი, რუსთაველი, ისანი, ვარკეთილი, დელისი, სამედიცინო ინსტიტუტი. ამ ტირაჟების შევსებული ბილეთები უნდა ჩაგვაბაროთ 22 ნოემბერს, პარასკევს, კინოს სახლის ფოიეში.

თამაშის ძირითადი მიზანია საფეხბურთო მატჩების ძირითად დროში შედეგების გამოცნობა: 1 — პირველი გუნდის მოგება, X — ფრე, 2 — მეორე გუნდის მოგება. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია მოთამაშის სურვილის მიხედვით ტირაჟიდან შერჩეული, ბილეთში შეტანილი ყველა მატჩის შედეგი. მოგება ეს არის, ფსონი გამრავლებული მოგებულ კოეფიციენტზე. შევსებული ბილეთები, ფსონები მიიღება და მოგებები გაიცემა მხოლოდ კინოს სახლის ფოიეში (მეტრო რუსთაველთან), ყოველ პარასკევს 12 საათიდან 17 საათამდე. ტირაჟები გამოქვეყნდება გაზეთ „ლელოში“. საწყის ეტაპზე კლიენტებს დილის 9 საათიდან 10 საათამდე მოემსახურება ტელეფონი 98-76-33.

ტირაჟებს ჩაატარებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ფირმა „პონტო“.

ტირაჟი №10

„კალიარი“ — „ნაპოლი“ (იტ)
„ლაციო“ — „სამპდორია“ (იტ.)
„მილანი“ — „ინტერი“ (იტ)
„უდინეზე“ — „იუვენტუსი“ (იტ)
„ვალიადოლიდი“ — „ატლეტიკო“ მ (ესპ)
„ატლეტიკი“ ბ — „ბარსელონა“ (ესპ)
„ესპანიოლი“ — „რასინგი“ (ესპ)

ტირაჟი №11

„ჩელსი“ — „ნიუკასლი“ (ინგ)
„ლივერპული“ — „უიმბლდონი“ (ინგ)
„მიდლსბრო“ — „მანჩესტერი“ (ინგ)
„ვერდერი“ — „ბორუსია“ დ (გერ)
„შალკე-04“ — „მიუნხენი 1860“ (გერ)
„ჟილ ვისენტე“ — „ბოავიშტა“ (პორტ)
„სეტუბალი“ — „სპორტინგი“ (პორტ)

თუ ფსონი 1-დან 7 ლარამდეა, აუცილებელია ტირაჟის შვიდივე მატჩის ბილეთში შეტანა და მხოლოდ შედეგების გამოცნობა თამაშის წესებს დაწვრილებით გაეცნობით ბილეთის უკანა მხარეს. ტირაჟი.

ტირაჟი №12 (toto 3÷7)

„ბოლონია“ — „ატალანტა“
„ფიორენტინა“ — „პიაჩენცა“
„პარმა“ — „რომა“
„ექსტრემადურა“ — „სპორტინგი“
„რეალი“ — „ვალენსია“
„სელტა“ — „სევილია“
„ლა კორუნია“ — ლოგრონიესი“
„ერკულესი“ — „კომპოსტელა“
„ბეტისი“ — „ტენერიფე“
„რ. ვალეკანო“ — „სარაგოსა“
„ოვიედო“ — „რ. სოსიედადი“
„ბრაგა“ — „ესპინიუ“

„არსენალი“ — „ტოტენჰემი“
„ქოვენთრი“ — „ასტონ ვილა“
„ლესტერი“ — „ევერტონი“
„ნოტინგემი“ — „ბლექბერნი“
„საუთჰემპტონი“ — „ლიდსი“
„სანდერლენდი“ — „შეფილდი“
„ვესთ ჰემი“ — „დერბი ქ.“
„ბოხუმი“ — „ბორუსია“ მ
„კარლსრუე“ — „ფორტუნა“
„სტ. პაული“ — „ბაიერ-04“
„არმინია“ — „ფრაიბურგი“
„კიოლნი“ — „ჰამბურგი“

მინიმალური ფსონია 10 ლარი. ბილეთში უნდა შეიტანოთ მინიმუმ სამი, მაქსიმუმ — 7 მატჩი. ფსონები და კოეფიციენტები ურთიერთშეთანხმებით.

ტირაჟი S_1 (16→7)

ინგლისის	ჩემპიონი?	საბერძნეთის	ჩემპიონი?
საფრანგეთის	ჩემპიონი?	ბელგიის	ჩემპიონი?
გერმანიის	ჩემპიონი?	შვეიცარიის	ჩემპიონი?
ესპანეთის	ჩემპიონი?	პორტუგალიის	ჩემპიონი?
იტალიის	ჩემპიონი?	ავსტრიის	ჩემპიონი?
ჰოლანდიის	ჩემპიონი?	თურქეთის	ჩემპიონი?
პოლონეთის	ჩემპიონი?	შოტლანდიის	ჩემპიონი?
შვედეთის	ჩემპიონი?	დანიის	ჩემპიონი?

აქ ძირითადი ფსონია 10 ლარი

ამ ტირაჟში შემოსული თანხა ივნისში გაუნაწილდებათ მოგებულ ბილეთებს. ბილეთი მოგებულად ითვლება თუ 16 ქვეყნიდან შეარჩიეთ 7 და გამოიცანით შვიდივე ქვეყნის ჩემპიონი. ამ ტირაჟის ბილეთები ივსება მხოლოდ ჩვენთან. დეკემბერში შემოსული ფსონით მოგება 20 %-ით ნაკლებია ვიდრე ნოემბერში. თუ მოთამაშეთა დაინტერესება გაიზრდება ამ ტირაჟის მიმართ, მოგებები იქნება სოლიდური.

ვისაც სურს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონის გამოცნობა, უნდა შეგვითანხმოს ფსონები და კოეფიციენტები.

გისურვებთ წარმატებას!

სპორტი ყველასათვის

რაინდები რაინდებს არჩევენ და აოსტატებენ

„სამხედრო ნაწილების მეთაურები და შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების უფროსები ვალდებულნი არიან შექმნან აუცილებელი პირობები სპორტის სამხედრო-გამოყენებით სახეობებში მეცადინეობების ჩატარებისა და მასში სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობის მონაწილეობისათვის“

„საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“.
თავი მეოთხე, მუხლი 16.2.

კანონის ამ მოთხოვნის ამოსავალი, როგორც ხედავთ, „აუცილებელი პირობების“ შექმნა გახლავთ. ცხადია, სხვა დანარჩენი ამ მოთხოვნის შესრულებაზეა დამოკიდებული. თბილისში, ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ხშირად ნახავთ ახოვან ახალგაზრდებს სპორტული ჩანთით რომ მიაბიჯებენ გასახდელისკენ. სიმართლე გითხრათ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელობა ამდენ ყურადღებას თუ უთმობდა თავისი კონტინგენტის ფიზიკურ მომზადებას, არ გვეგონა. ახალგაზრდები, ზემოთ რომ ვახსენეთ, ისინი არიან, ვინც ამ სამსახურში შესვლა გადაწყვიტა. თუმცა, სურვილი ყველაფერს არ ნიშნავს — ვიდრე აქ, სტადიონს მოაკითხავენ, ისინი კომპლექსურ ღრმა სამედიცინო შემოწმებას გადიან, ტესტირებით კი დგინდება მათი ინტელექტის დონე. აი, ყოველივე ამის შემდეგ იღებენ ხელში სპორტულ ჩანთას და საგანგებო კომისიას აბარებენ სპორტულ ნორმატივებს. ეს ახალბედებისთვის, ისინი კი, ვინც ასეთი მკაცრი შერჩევა უკვე გაირა და ბედმა გაუღიმა, საგანგებო ფიზიკურ და საბრძოლო მომზადებას გადიან, მეტწილად, ცხადია, ეუფლებიან ორთაბრძოლის ხელოვნებას, ტყვიის სროლასა და სხვა გამოყენებით სახეობებს.

სპორტკლუბში, რომელსაც ყველა ზემოხსენებული საქმიანობის გაძღოლა ევალება, ნაცნობი სახეები შეგვხვდა. საბრძოლო განყოფილების უფროსი, წარსულში თანამედროვე ხუთჭიდის, ჭეშმარიტად რაინდთა სპორტის ცნობილი ოსტატი ნოდარ ალავიძე გახლავთ, აქვე მუშაობენ სპორტსმენები ძმები ოთარ და მამუკა კიკნაძეები, ზვიად კაპანაძე, თემურ ბაქრაძე...

ადგილი, სადაც კლუბს დაუდევს ბინა, უკვე მოწესრიგებულია, მცირეოდენი სამუშაოებიღა დარჩა და სულ მალე მომეცადინეებს მართლაც შესანიშნავი პირობები ექნებათ სპორტული და საბრძოლო მომზადებისათვის. ალბათ შორს არც ის დროა, როცა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თავისი პირადი შემადგენლების სპარტაკიადას ჩაატარებს სპორტის საბრძოლო გამოყენებით სახეობებში, რჩეულნი კი საერთაშორისო სარბიელზეც გაიტანენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ დიდებას ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ტრადიციას ახლა ეყრება საფუძველი, ახალგაზრდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სპეცსამსახურის სპორტულ ტრადიციას.

თენგიზ თომაშელი

17 ნოემბერს საქართველოს სახალხო არტისტს, ღირსების ორდენოსანს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ცნობილ ტელე და რადიოკომენტატორს კოტე მახარაძეს 70 წელი შეუსრულდება. ვფიქრობთ, ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სრულად წარმოაჩენს ბატონ კოტეს ნიჭსა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

კოტე მახარაძე: ვინ გითხრათ, რომ მესმის ფეხბური?

კოტე მახარაძე:
დაიბადა თბილისში 1926 წლის 17 ნოემბერს.
ფრიადზე დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1947-1970 წლებში მსახურობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში. ხოლო ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრშია.
მეუღლე - სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი.
ჰყავს სამი შვილი. ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილიშვილი.

• ბატონო კოტე, შემოქმედებითი კარიერის შუაგულში ყველა მსახიობი როდი ხდება სპორტულ კომენტატორად...

— თავიდანვე სერიოზულად მოვკიდე ხელი კალათბურთს. ვიყავი საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ვთამაშობდი თბილისის „დინამოში“, სადაც იმ დროს ოთარ ქორქია ბრწყინავდა. 50-იან წლებში, როდესაც გუნდში მიიღეს მაღალი ტანის მოთამაშეები, მე, ჩემი 180 სანტიმეტრით სულ უფრო და უფრო მიჭირდა თამაში. მაშინ უკვე დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი და თეატრში ვმუშაობდი.

• ესე იგი, თქვენთვის დილემა — სპორტი თუ ხელოვნება — არ არსებობდა?

— საერთოდ, არა. ისე კი, სასიამოვნო იყო, როდესაც ამბობდნენ: „იცით, ჩვენი კოტე მახარაძე თბილისის „დინამოს“ მოთამაშეა“. თუმცა, ჩემი პედაგოგი და ინსტიტუტის რექტორი, ბატონი აკაკი ხორავა, ამ აზრს არ იზიარებდა.

• თქვენი პირველი რეპორტაჟი ეთერში 1958 წელს გავიდა.

— იმ პერიოდში ტელევიზია ახალი ფეხადგმული იყო. თბილისში ამერიკის კალათბურთელთა ნაკრები ჩამოვიდა. მატჩის კომენტირება მე დამავალეს. დიდხანს არ ვთანხმდებოდი. კარგად მახსოვდა ვადიმ სინიავსკის სიტყვები: „არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი ტემპიანი თამაშის კომენტირება“. ბოლოს დამითანხმეს.

• და, მაინც, როგორ გადაწყვიტეთ პრობლემა, რომელიც სინიავსკის აშინებდა?

— გადავწყვიტე ჩემი სიტყვებით გადმომეცა მაყურებლისათვის თამაშის მსვლელობა, რომელიც ჩემთვის ახლობელი იყო. დებიუტი შედგა. შემდეგ იყო ფეხბურთის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და „ზენიტს“ შორის. 60-იან წლებში ტაშკენტში „დინამო“ — „პახტაკორის“ მატჩის წინ მოსკოვიდან დარეკეს. სინიავსკის ნაცვლად საკავშირო ტელევიზიით მატჩის რეპორტაჟი მთხოვეს. ეს დებიუტი იყო.

• ალბათ, ეთერში გასასვლელად განსაკუთრებით ემზადებით?

— ამას ხშირად მეკითხებიან. განსაკუთრებული არაფერია. მატჩზე მხოლოდ მოკლე ჩანაწერი მიმაქვს. რა იქნება გუნდის მოგების ან წაგების შემთხვევაში. მთელი დოსიე ჩემი მეხსიერებაა.

• თქვენ უამრავი შეხვედრა გქონიათ. რომელს გამოყოფდით?

— განსაკუთრებით თბილისის „დინამოს“ 1964 წლის „ოქროს“ გუნდს: მესხი, მეტრეველი, იამანიძე. შოთა იამანიძესთან ფეხბურთის გარდა ბევრი საერთო ინტერესები გვქონდა, საოცრად უყვარდა თეატრი. ნამდვილი ინტელიგენტი იყო. ვმეგობრობ დათო ყიფიანთან. სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვხდებით ერთმანეთს. ოლეგ ბლოხინთან შემთხვევამ დამაკავშირა. მის გამოსათხოვარ მატჩს დავესწარი. კითხვაზე, რომელ კომენტატორს და მსაჯს აირჩევდა, მან მე და სპირინი დაგვასახელა. აქედან დაიწყო ჩვენი ოჯახებით მეგობრობა.

• სუვენირებითა და საჩუქრებით, რომელიც თქვენს ოთახს ამშვენებს, პატარა მუზეუმიც კი გამოვა. ბევრი კომენტატორი ვერ დაიტრაბახებს ასეთი სიყვარულით.

— მახსოვს, მე და სოფიკო ჩეხოსლოვაკიიდან ვბრუნდებოდით, ჩვენთან ერთად თვითმფრინავში ჰოკეისტთა ნაკრები მგზავრობდა. ვიქტორ ტიხონოვმა ჰოკეის მატჩის რეპორტაჟი შემომთავაზა. მე და სოფიკოს გაგვეცინა, რადგან ჰოკეიში ნაკლებად ვერკვევი. მაშინ ვიქტორ ტიხონოვმა საოცარი რამ მითხრა: „სამაგიეროდ, რეპორტაჟი კეთილი იქნება“. თავს არ ვიქებ, მაგრამ არასოდეს მივდივარ მატჩზე გაღიზიანებული. კომენტატორი კეთილი და ობიექტური უნდა იყოს. ამავე დროს უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის სპეციფიკა. ტელევიზორს მილიონობით ადამიანი უყურებს. ისინი მზად არიან ნაფლეთებად გაქციონ, თუკი მათ საყვარელ გუნდს ცუდად მოიხსენიებ.

ერთხელ სამტრედიაში ვიყავით გასტროლებზე. სპექტაკლის შემდეგ ორი მამაკაცი მომიახლოვდა. ჯერ მეგონა სუფრასთან უნდოდათ ჩემი მიწვევა, მაგრამ შევცდი — წინა რეპორტაჟში ჩვენებს ლანძლავდი და კიეველებს რატომ აქებდიო — მომახალეს მათ. გავშრი. ჩანაწერი მომასმენინეს. მართალია იმ რეპორტაჟში ობიექტური ვიყავი, მაგრამ ჩემი სტუმრები ისევ თავის აზრზე დარჩნენ.

• თქვენი აზრით, რომელ სოციალურ ფენაში გაქვთ მეტი პოპულარობა?

— მე მგონი, დიასახლისებს შორის. მოსკოვში ვიყავი იაშინის იუბილეზე. გამოსასვლელთან ლამაზი ქალი მომიახლოვდა თაიგულით. გადამკოცნა და მითხრა: „რომ იცოდეთ, როგორ გვიყვარხართ!“

• რაშია ქალებში თქვენი პოპულარობის მიზეზი?

— ეს სოფიკოს ჰკითხეთ. როდესაც ჩვენს შორის გრძნობა გაჩნდა, მეც და მასაც ოჯახი გვქონდა.

• ალბათ, ასეთ შემთხვევაში რომანტიკული ცოტა თუა?

— რა რომანტიზმზეა ლაპარაკი, როცა იმდენი უსიამოვნებანი შეგვხვდა.

• ეს ყველაზე დიდი უსიამოვნებანი იყო თქვენს ცხოვრებაში?

— არა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მე და სოფიკოს დიდი ბრძოლა გადაგვხვდა პოლიტიკაში რომ არ ჩავეთრიეთ. თბილისში ომი რომ იყო, წერილი მივწერე სახალხო ფრონტის მთავარ იდეოლოგს. იყო მადლობის ზარიც და დაძაბული მოლოდინიც. იმ დროს ხშირი იყო მკვლელობებიც და დარბევაც.

• ფეხბურთში თუ შეხვედრიხართ ბოროტებას?

— ალბათ, ვიტყვი, რომ ბორის არკადიევმა ფეხბურთი დაამუხრუჭა. დრიბლინგი მისთვის მიუღებელი რამ იყო. განა ეს ბოროტება არ არის? შედეგად კი 1958-ში ტექნიკურმა ბრაზილიელებმა „ნოვატორები“ გაანადგურეს.

დღევანდელზე კი ვიტყვი, რომ გადამეტებულია ჟურნალისტების მიერ მოსკოვის „სპარტაკის“ ქება...

გამიგონია, ბერიას მიუწვევია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, პაიჭაძე და ჯეჯელავა. საუბარი, რა თქმა უნდა, ფეხბურთს შეეხებოდა. ბერიამ იკითხა, რომელ ადგილზეა თქვენი გუნდიო. გულდანწყვეტილმა ფეხბურთელებმა უამბეს, რომ დაუმსახურებლად წაგებული მატჩის შემდეგ მეორე ადგილზე არიან. მაშინ ბერია დაინტერესდა, ვინ იყო პირველი. რომ გაიგო, მოსკოვის „დინამოაო“, ორივე გარეთ გამოუყრია სიტყვებით: მოსკოვის შემდეგ მეორე ადგილზე ხართ და კიდევ წუწუნებთო?

...ბევრი საყვედური მივიღე 1981 წლის თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის შემდეგ. უკმაყოფილება გამოიწვია ჩემმა ფრაზამ: „რა სიხარულია ახლა თბილისში! ეს ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვებაა! და შემდეგ დავამატე — აგრეთვე საბჭოთა საფეხბურთო სკოლის, — მაგრამ ბევრ უსიამოვნო შეკითხვას მაინც ვერ ავცდი.

• მოდით განვსაზღვროთ თქვენი კრედო. ფეხბურთის სპეციალისტი ხართ, რომელსაც ურჩევნია...

— დავიწყოთ იმით, რომ ჟურნალისტი არაა სპეციალისტი. ყველაზე სუსტ მწვრთნელსაც კი მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ჟურნალისტს, თუგინდ იგი ყოფილი მოთამაშე იყოს. გულახდილად გეტყვით, მე არ ვიცი ფეხბურთი. ხშირად მეკითხებიან გულშემატკივრები — შეძლებდით მწვრთნელად მუშაობასო? არა და არა. რადგან მწვრთნელად მუშაობას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რაც მე არ გამაჩნია.

„სპორტ-ექსპრესი“ №30, 1996წ.

თარგმნა
ნანა გვეტაძემ

P.S. ფეხბურთი არ მესმისო — რასაკვირველია, ბატონი კოტე თავმდაბლობს. საკმარისია ერთხელ მაინც მოისმინო მისი რეპორტაჟი, რომ დარწმუნდე — იგი ზედმიწევნით ერკვევა ფეხბურთის უმნიშვნელო ნიუანსებშიც კი.

დაე, კიდევ მრავალჯერ მოეზიდოს მას ცისფერ ეკრანთან სპორტის მოყვარულები.

თურქული კლუბები თავიანთი გულშემატკივრების «ზედმეტი სიყვარულის» მსხვერპლნი გახდნენ

თურქი გულშემატკივრები რომ ექსპანსიურები არიან, საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტი მოუვიდათ და... უეფამაც „ფული იშოვნა“. „გალათასარაის“ საფეხბურთო კლუბმა მას 105 ათასი შვეიცარიული ფრანკი უნდა გადაუხადოს. საქმე იმაშია, რომ თასების თასზე საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენთან“ ორივე შეხვედრაზე თურქი გულშემატკივრები უმსგავსოდ იქცეოდნენ: შეურაცხყოფდნენ ფრანგ „ფანებს“, მინდორზე ისროდნენ სხვადასხვა საგანს, რის გამოც რამდენჯერმე შეწყდა თამაში.

გულშემატკივართა გამო ზარალი ნახა მეორე თურქულმა კლუბმა — „ფენერბახჩემაც“: უეფამ იგი 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა. ჩემპიონთა ლიგის მატჩში ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ „ფენერის“ გულშემატკივრები რამდენიმეჯერ მინდორზე გავარდნენ მსაჯის ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით.

„კოკა-კოლა“ აჯილდოებს ციმბალარს

„კოკა-კოლას“ ფირმამ 25 მილიონი რუბლით დააჯილდოვა მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანი ილია ციმბალარი რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის პირველობაზე პირველი გოლის გატანისათვის. ციმბალარმა უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვაზე.

• იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა ფეხბურთი ჩვენთან პროფესიული გახდა, სხვადასხვა გუნდის მოთამაშეების პატივისცემა ერთმანეთის მიმართ ხომ არ გაიზარდა, ისინი ხომ ახლა ერთ „საამქროს“ მიეკუთვნებიან?

— არა, მინდორზე არავინ არავის არაფერს უთმობს. სიავე და გაავთრება ახლაც საკმაოა. თუმცა, შეგნებულ უხეშობას შედარებით იშვიათად ვხვდებით. ახლა, როცა დაგეჯახებიან, მაშინვე ბოდიშს გიხდიან. ადრე კი, როცა წაგაქცევდნენ, შენვე დაგძახოდნენ: „ადექი! რას წამოგორდი!“

• გული არა გწყდება, რომ ახალგაზრდულ წლებს ასეთ მკაცრ რეჟიმში ატარებ?

— არა, არ მწყდება. მე თავად ავირჩიე ასეთი გზა და შევეჩვიე კიდეც. ათ საათზე ვიძინებ. ჩემი რეჟიმი მხოლოდ შვებულების დროს „რბილდება“. ეს არის, რომ ხანდახან ვეწევი.

• სასმელების გემო ხომ არ დაგვიწყებია?

— უფრო ლუდი მიყვარს. უკანასკნელად დავლიე ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“ შეხვედრის შემდეგ. წინასასეზონო შეკრებებზე კი ვახშმად სრულიად ოფიციალურად გვაძლევდნენ ნახევარ ჭიქა წითელ ღვინოს. თამაშს რომ დავამთავრებ, შემეძლება უფრო ხშირად შევხვდე მეგობრებს, ყველა ზეიმი „ღირსეულად“ აღვნიშნო.

• საინტერესოა, რას გთავაზობენ ხოლმე სადილად საწვრთნელ ბაზაზე?

— ეს რა სახელმწიფო საიდუმლოებაა. პირველი იყო ხორციანი კერძი. მეორე, რომელსაც ავირჩევდით, ხორცი ან ქათამი. სხვადასხვანაირი სალათა, წვენი, კომპოტი.

• ფეხბურთელის პროფესია ჩვენთან არც ისე დიდი ხნის წინათ გაჩნდა, როცა თამაშს იწყებდი, ფიქრობდი იმაზე, რომ ეს შენი შემოსავლის ძირითადი წყარო იქნებოდა?

— უკვე 20 წელია, რაც ფეხბურთს ვთამაშობ და ბავშვობიდანვე თავი შევაჩვიე იმ აზრს, რომ ეს არის ჩემი ძირითადი საქმიანობა. სხვა რამეზე უკვე აღარ ვფიქრობდი. ოდესის „ჩერნომორეცში“ რომ ვთამაშობდი, რომელიღაც გემზე სპორტის ინსტრუქტორად ვირიცხებოდი. ახლა კი, დასამალი არ არის, ძალზე მნიშვნელოვანია, 30 წლამდე იმდენი თანხა მივიღო, რომ შემდეგ ჩემი მომავალი აღარ მაფიქრებდეს.

• ყველა შენი მეგობარი ესპანეთში წავიდა. იქ არიან ონოპკო, ნიკიფოროვი, ლედიახოვი, რადჩენკო, კარპინი... ცოლი არ გაქეზებს?

— არა, არ მაქეზებს. ისე კი, ვის არ უნდა ადამიანური ცხოვრება.

სანამ ფიფას დასკვნა არ გამოუტანია...

ხშირად ვსაყვედურობთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მომსახურე მსაჯებს, ისინი ფეხბურთელების მიერ თავის კარში გატანილ გოლებს მოიერიშე გუნდის მოთამაშეებს რომ უთვლიან. ამის თაობაზე არაერთი გაუგებრობა მომხდარა. როგორც ირკვევა, ვერც ფიფამ დაადგინა, რა შემთხვევაში ითვლება გატანილი ბურთი ავტოგოლად.

რამდენიმე დღის წინათ შვეიცარიაში ფიფას ტექნიკური კომიტეტის სხდომაზე ფუჭად უმსჯელიათ ამ საკითხზე. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში თავის კარში გატანილად ითვლება გოლი, თუ დაზარალებული მხარე ოდნავ მაინც შეეხო ბურთს. სხვაგან კი, ვთქვათ, ინგლისში, ეს ავტოგოლად არ ითვლება... ვინაიდან მოკამათე მხარეები ერთიან დასკვნამდე ვერ მივიდნენ, მსჯელობა ამ საკითხზე გაგრძელდება.

ასე რომ, ქართველო არბიტრებო, სანამ ფიფა რაიმე დასკვნამდე არ მივა, შეგიძლიათ იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისამებრ.

მსოფლიო ჩემპიონატი – 98 შესარჩევი ციკლი

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 FSL TM

სამხრეთ ამერიკა

პარაგვაი — ეკვადორი 1-0, პერუ — ვენესუელა 4-1, ბოლივია — კოლუმბია 2-2, ჩილი — ურუგვაი 1-0.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოლუმბია	6	4	2	0	12-5	14
პარაგვაი	5	3	1	1	6-3	10
ეკვადორი	6	3	0	3	8-7	9
არგენტინა	5	2	2	1	9-6	8
ჩილი	5	2	1	2	8-8	7
ურუგვაი	4	2	0	2	4-5	6
პერუ	5	1	3	1	5-7	6
ბოლივია	5	1	2	2	9-7	5
ვენესუელა	6	0	1	5	5-7	1

კონკაკაფი

ნახევარფინალური რაუნდი

I ჯგუფი

აშშ — ტრინიდადი და ტობაგო 2-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
აშშ	2	2	0	0	4-0	6
კოსტა-რიკა	1	1	0	0	1-0	3
ტრინიდადი	3	0	1	2	1-4	1
გვატემალა	2	0	1	1	1-3	1

II ჯგუფი

სალვადორი — პანამა 3-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კანადა	5	4	1	0	8-1	13
სალვადორი	4	2	1	1	9-4	7
კუბა	4	1	0	3	3-10	3
პანამა	5	0	2	3	5-10	2

III ჯგუფი

მექსიკა — გონდურასი 3-1, იამაიკა — სენტ-ვინსენტი და გრენადინი 5-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მექსიკა	5	4	0	1	14-5	12
იამაიკა	5	3	1	1	11-4	10
გონდურასი	5	2	1	2	7-8	7
სენტ-ვინსენტი	0	0	5	4	4-19	0

საქართველოს საგაისო მეტოქეებმა ერთმანეთი არ დაზოგეს

იმის შესახებ, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პოლონელებმა მოლდოველებს სძლიეს ანგარიშით 2-1, „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან.

ვინაიდან გაისად ეს ორივე გუნდი ჩვენებს გაეჯიბრება, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ამ მატჩის ტექნიკური მონაცემები.

10 ნოემბერი. კატოვიცე. 8 000 მაყურებელი. პოლონეთი-მოლდოვა 2-1 (1-0).

პოლონეთი: შომატულსკი, მიხალსკი, ვოიტალა, იუქვიაკი, ქილინსკი, ჩერვეცი (ვალდოხი), ხაიტო, ბალუშინსკი (კუხარსკი), ვარჟიხა (სტანეკი), ნოვაკი, ციტკო.

მოლდოვა: რომანენკო, სეკუ, ტოლოკონნიკოვი, ტესტიმიციანუ, კულიბაბა, გაიდამაშუკი, კურტიანუ, ეპურიანუ (მიტერევი), შიშკინი, პოპოვიჩი (სპინუ), კლეშენკო.

გოლები: ბალუშინსკი (4), ვარჟიხა (76, პენალტით), კლეშენკო (78, პენალტით).

როგორც იტყობინებიან, მატჩი მეტად ნერვულ ატმოსფეროში ჩატარებულა — მეტოქეებმა ერთმანეთი არ დაინდეს, რის გამოც პოლონელმა ჩერვეცმა და მოლდოველმა პოპოვიჩმა ტრავმის გამო მინდორი დატოვეს.

სანაძლეოს მოყვარულთათვის

ყველაზე „ბარაქიანი“ მატჩები

გასულ შაბათს, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, მაკედონიის ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად სარეკორდო ანგარიშით დაამარცხეს ლიხტენშტეინის გუნდი. როგორც გაირკვა, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, ეს იყო სტუმრად მოპოვებული ყველაზე უხვგოლიანი მოგება. 66 წლის მანძილზე სულ ცხრაჯერ დაფიქსირდა ერთ-ერთი გუნდის გამარჯვება 10 და მეტი ბურთით.

16.08.1981.	ახალი ზელანდია — ფიჯი	13-0
21.05.1969.	გერმანია — კვიპროსი	12-0
06.12.1992.	მექსიკა — სენტ-ვინსენტი	11-0
09.11.1996.	ლიხტენშტეინი — მაკედონია	1-11
25.03.1938.	უნგრეთი — საბერძნეთი	11-1
10.02.1972.	ტრინიდადი — ანტიგუა	11-1
15.08.1957.	ფინეთი — სსრკ	0-10
14.08.1981.	ავსტრალია — ფიჯი	10-0
09.09.1992.	ნორვეგია — სან-მარინო	10-0

ჯორჯ ვეა

ჯორჯ ვეა წელსაც უპრიზოდ არ დარჩენილა

1995 წლის მსოფლიოს, ევროპის და აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი შავკანიანი ჯორჯ ვეა წელსაც არ დარჩება უპრიზოდ. ფიფამ მას FAIR PLAY-ს (სამართლიანი თამაშის) პრიზი მიაკუთვნა: ლიბერია, რომლის მოქალაქედაც ეს ფეხბურთელი ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომშია გახვეული, მაინც თამაშობს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს. ხშირად ვეა თავისი ჯიბიდან ისტუმრებდა ნაკრების ხარჯებს.

ლიბერიელი ფეხბურთელი პრიზს 1997 წლის 20 იანვარს მიიღებს — ამ დღეს ლისაბონში შედგება წლის ლაურეატების დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია. აღსანიშნავია, რომ ფიფამ FAIR PLAY-ს გუნდური პრიზები მიანიჭა არგენტინის (ვაჟებში) და აშშ (ქალებში) ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებს.

ვლადიმერ ალიოშინი:

ვინ გითხრათ, რომ ბიშოვეცი გვინდოდა?

ხმები იმის თაობაზე, რომ ვალენტინ ივანოვი ტოვებს მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას, სინამდვილეს არ შეეფერება. „ლელოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა სააქციო საზოგადოება „ლუჟნიკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, გუნდის მეპატრონეს ვლადიმერ ალიოშინს:

• ბატონო ვლადიმერ, ხმები გავრცელდა, რომ უკმაყოფილო ბრძანდებით თქვენი გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებით და ამიტომ აპირებთ დაითხოვოთ ვალენტინ ივანოვი.

— ცრუ ინფორმაცია გაქვთ. მართალია, უკმაყოფილო ვარ წლევანდელი სეზონის შედეგებით. აბა, მეთორმეტე ადგილი რუსეთის ჩემპიონატში და უეფას თასზე წარუმატებელი გამოსვლა, რა საკადრისია. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა გვქონდა 9 ნოემბერს გამართულ გუნდის საერთო კრებაზე. მართალია, საზოგადოება „ლუჟნიკის“ დირექტორთა საბჭომ მოითხოვა ივანოვის თანამდებობიდან გადაყენება, მაგრამ ფეხბურთელები კატეგორიულად არ დაეთანხმნენ სპონსორთა ამ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში 12 მოთამაშე წავიდოდა „ტორპედოდან“. იძულებული გავხდით აღარ წამოგვეჭრა ეს საკითხი. გუნდის ყველა წევრს ხელფასები დავურიგეთ და ერთთვიან შვებულებაში გავუშვით.

• რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ვალენტინ ივანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა ეთხოვა თქვენთვის თბილისის დინამოს“ ნახევარმცველის გოჩა ჯამარაულის შეძენის თაობაზე.

— ვნახოთ, ჯერჯერობით ახალი მოთამაშეების შეძენის შესახებ, ივანოვს, ჩვენთვის არაფერი უთქვამს. ისე, სასელექციო საკითხები კლუბის გენერალურ დირექტორს ვლადიმერ პილგუის ევალება. ალბათ, ამ დღეებში იგი ივანოვთან ერთად საბოლოოდ ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებებს და შემოვა ჩემთან საკითხის გადასაწყვეტად.

• როგორი გეგმით ემზადებით მომავალი სეზონისათვის?

— 16-30 დეკემბერს ჩავატარებთ შეკრებას ჩვენს ბაზაზე, ადლერში. იანვარ-თებერვალში დაგეგმილია კიდევ სამი შეკრება — ისრაელში, თურქეთში და კვიპროსზე.

• ბატონო ვლადიმერ, ვალენტინ ივანოვის საკითხი გავარკვიეთ. ისე, ალბათ, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ანატოლი ბიშოვეცის დანიშვნა გქონდათ განსაზღვრული. ახლა, ბიშოვეცი, მოსკოვის „დინამოში“ ხომ არ წავა?

— ვინ გითხრათ, რომ ბიშოვეცი გვინდოდა? ეს ინფორმაციაც უზუსტოა. ისე, იცოდეთ, მოსკოვის „დინამოშიც“ იგივე მწვრთნელი დარჩა — ადამას გოლოდეცი. ხოლო ბიშოვეცი...

• იცით და არ მეუბნებით?

— დასამალი რა არის. გეტყვით, შეიძლება ბიშოვეცი სანქტ-პეტერბურგის „ზენიტში“ გადავიდეს, თუმცა, გავიგე, ფეხბურთელებს კატეგორიულად არ სურთ, რომ გუნდიდან პავლე სადირინი წავიდეს. რას იზამ, ამ დემოკრატიამ კლუბების მეპატრონეებს, სულ აგვირია თავ-გზა — თუ ფეხბურთელებმა პირი შეკრეს, მათ გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგები.

• „ზენიტის“ მეპატრონეებს ნუთუ ასე ძულთ სადირინი?

— ამ დღეებში დამირეკა „ზენიტის“ კლუბის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ: რჩევა მთხოვა — როგორ მოვიქცეო. სადირინის საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, მაგრამ იმდენ ფულს ითხოვს, მთელი სანქტ-პეტერბურგის გაყიდვა მომიწევსო...

• რაკი ნევისპირა ქალაქზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვინ მოიგებს გადათამაშებას?

16 ნოემბერს „სპარტაკსაც“ და „ალანიასაც“ ერთნაირი შანსები აქვს. თუმცა, ყველაფერი შეიძლება გადაწყდეს იმით, თუ ვის მხარეზე დადგება ამ ქალაქის გულშემატკივარი...

ესაუბრა
ჯემალ ჭიპაშვილი

ფეხბურთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

შუმახერის მუშტები

ცნობილმა გერმანელმა მეკარემ შუმახერმა, რომელიც ამჟამად 42 წლისაა, და „ბორუსიის“ მწვრთნელთა შტაბში მუშაობს, თავის უკმაყოფილება მსაჯის მიმართ, რომელმაც არ ჩათვალა დორტმუნდელთა მიერ გატანილი გოლი, იმით გამოხატა, რომ შესვენებაზე, ტრიბუნის ქვეშ ერთ-ერთ ნაგებობაში ნეკნებში უთავაზა მუშტები ლაინსმენს. ხულიგნური გამოხდომების გახსენებისთვის მწვრთნელს ალბათ სერიოზული ფულადი ჯარიმა მოელის, იუწყება — სააგენტო AFP

სტრაჩანი «ქოვენტრში»

წარსულში შოტლანდიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი გორდონ სტრაჩანი დაინიშნა ინგლისის „ქოვენტრის“ მთავარ მწვრთნელად, რომელმაც შეცვალა რონა ატკინსონი. ეს უკანასკნელი დარჩა იმავე კლუბში, მაგრამ საფეხბურთო დირექტორის პოსტი დაიკავა. ახალი მწვრთნელი 39 წლისაა — მანამდე ამავე კლუბში გუნდის სათადარიგოთა შემადგენლობასთან მუშაობდა. ადრე თამაშობდა „ლანდში“, „აბერდინში“, „მანჩესტერ იუნაიტედში“ და „ლიდსში“, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონია, მონაწილეობდა 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. იყო შოტლანდიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი.

(სააგენტო REUTER-ი)

გარდაიცვალა ტომი ლაუტონი

Reuter-მა გაავრცელა ცნობა, რომ 77 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი ტომი ლაუტონი. ლაუტონი იყო ინგლისის ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. 19 წლისა იგი ლიგის ჩემპიონი და საუკეთესო სნაიპერი გახდა 1938-39 წლების სეზონში. ქვეყნის ნაკრებში ჩაატარა 23 მატჩი და გაიტანა 22 გოლი. 1945 წელს „ჩელსში“ თამაშობდა, შემდეგ გამოდიოდა „არსენალში“, „ჰოტს კაუნტში“. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა ნოტინგემში და თანამშრომლობდა ადგილობრივ გაზეთში.

1947 წ. ტომი ლაუტონი (შავ მაისურში) ბრიტანეთის ნაკრებში ევროპის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი გაიმართა ინგლისში და გაიმარჯვეს მასპინძლებმა - 6-1.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

მეორე ჯგუფი • XIV ტური

აღმოსავლეთი ზონა

ლოკომოტივი — მესხეთი 4-0, ასკ — ენერგეტიკოსი 3-1, არმაზი — იბერია 5-1, დინამო-2 — ჭაბუკიანი 0-0, მორკინალი — ცხინვალი 2-0, დურუჯი — შირაქი 1-1, 35-სტუ — მრეტები 6-1, ავაზა — კოდაკო 2-3, თორი — ქინერი 0-0.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლოკომოტივი (თბილისი)	14	12	2	0	33-4	38
მორკინალი (თბილისი)	13	10	2	1	31-3	32
კოდაკო (თბილისი)	13	9	2	2	21-20	29
ცხინვალი	14	9	0	5	27-15	27
ასკ (თბილისი)	14	8	1	5	27-22	25
არმაზი (მცხეთა)	12	8	0	4	30-19	24
შირაქი (დედოფლისწყარო)	14	6	5	3	21-18	23
შსს აკადემია (თბილისი)	13	7	1	5	34-17	22
დინამო-2 (თბილისი)	12	6	3	3	25-14	21
35-სტუ (თბილისი)	13	5	3	5	28-20	18
თორი (ბორჯომი)	13	5	2	6	11-18	17
მრეტები (თბილისი)	13	4	5	4	17-19	17
იბერია (ქარელი)	14	5	1	9	12-28	16
ქინერი (ქინვალი)	13	4	2	7	18-32	14
სამგორი (გარდაბანი)	14	5	3	6	19-25	13
შევარდენი-2 (თბილისი)	13	4	1	8	13-28	13
ჭაბუკიანი (ლაგოდეხი)	14	1	5	8	12-21	8
მესხეთი (ახალციხე)	13	2	0	11	11-39	6
დურუჯი (ყვარელი)	13	1	3	9	8-35	6
ავაზა (შევარდენი)	13	1	1	11	10-28	4

დასავლეთი ზონა

მერცხალი — იმერეთი 3-2, მეშახტე — ოდიში-2 1-0, მამისონი — კოლხეთი-2 9-2, კახაბერი — სამეგრელო 3-3, მაღაროელი — საპოვნელა 4-3, სალხინო — ბათუმი-2 1-0, ოლიმპია — ტორპედო-2 4-0.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მაღაროელი (ჭიათურა)	14	13	0	1	48-15	39
მეშახტე (ტყიბული)	13	12	0	1	30-8	36
მერცხალი (ოზურგეთი)	13	10	0	3	39-16	30
სალხინო (მარტვილი)	13	7	1	5	24-19	22
ოლიმპია (ხობი)	13	7	1	5	22-10	22
კოლხეთი-2 (ფოთი)	12	6	2	4	19-9	20
იმერეთი (ხონი)	13	6	2	5	23-16	20
საპოვნელა (თერჯოლა)	13	4	5	4	18-24	17
სამეგრელო (ჩხოროწყუ)	14	4	4	5	21-23	16
მამისონი (ონი)	13	4	3	6	25-28	15
სულორი (ვანი)	13	4	3	6	14-16	15
[illegible]ური (წალენჯიხა)	12	3	4	5	14-19	13
ეგრისი (სენაკი)	13	3	5	5	15-22	9
ტორპედო-2 (ქუთაისი)	13	2	3	8	11-30	9
ბათუმი-2	13	2	2	9	11-26	8
კახაბერი (ხელვაჩაური)	13	2	2	9	15-43	8
ოდიში-2 (ზუგდიდი)	13	1	3	9	6-22	6

თუ პირველჯგუფელებმა უკვე დაასრულეს საფეხბურთო სეზონის ნახევარი, რანგით დაბლა მდგომ გუნდებს ლამის ერთი თვე კიდევ მოუწევთ თამაში, რათა დაასრულონ პირველი წრე. როგორც ხედავთ, ორივე ზონაში გამოიკვეთა ის გუნდები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მოიპოვონ პირველი ჯგუფის საგზურები: აღმოსავლეთ ზონაში ესენია თბილისის სამი — „ლოკომოტივი“, „კოდაკო“, „მორკინალი“ — და ცხინვალის გუნდები. დასავლეთ ზონაში კი, როგორც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ბრძოლა გაიმართა სამ კოლექტივს შორის, ესენია ჭიათურის „მაღაროელი“, ტყიბულის „მეშახტე“ და ოზურგეთის „მერცხალი“.

სავარაუდოა, რომ ბრძოლა ლიდერებს შორის გამძაფრდება, ამიტომ ყველა ზომა უნდა ვიხმაროთ, რათა ეს პაექრობა არ გასცდეს წმინდა სპორტულ ჩარჩოებს. მხედველობაში გვაქვს წინა წლების მაგალითი, როდესაც მოწინავე პოზიციებზე მდგარი გუნდები ერთმანეთს გასვლით მატჩებზე „დასდევდნენ“ და სხვადასხვანაირ „სიურპრიზს“ უმზადებდნენ.

აბა, მოიგონეთ, რაოდენ არასპორტულ ვითარებაში მიმდინარეობდა ესოდენ გახმაურებული „სამთა ბრძოლა“ (თბილისის „ანცი“, „თეთრი არწივი“, ყვარლის „დურუჯი“) აღმოსავლეთსა და ორთა დუელი (სენაკის „ეგრისი“, ოზურგეთის „მერცხალი“) დასავლეთ ზონაში. „ლელოს“ რედაქცია ასეთ მოვლენებზე იმიტომ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, რომ ამგვარ სიტუაციას კვლავ ვხვდებით მეორე ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში. თუნდაც ერთი კვირისწინანდელი, ბორჯომში მომხდარი ამბავი ავიღოთ: ადგილობრივი „თორის“ ფეხბურთელებმა „მორკინალის“ ბიჭებს ნამდვილი სასაკლაო მოუწყვეს, არც მატჩის მომსახურე მსაჯთა ბრიგადას დაადგა კარგი დღე. დიდი გამჭრიახი არ უნდა იყო, რათა ბორჯომელთა მოქმედებაში აშკარა ანგარება არ დაინახო: ფეხბურთელები ვიღაცამ „დააინტერესა“. კი ვხვდებით, ვინ არის ეს „ვიღაცა“, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ დასახელებისაგან. „**FAIR PLAY!**“, ბიჭებო!

აუქციონი

სატრანსფერო ბაზარზე ორი სიახლეა: ძოლა და ბებეტო კლუბებს იცვლიან

ადვილი შესაძლებელია, რომ ინგლისის პრემიერლიგაში კიდევ ერთი იტალიელი ვარსკვლავი გამოჩნდეს. ლაპარაკია „სკუადრა ატურას“ და „პარმას“ შემტევ ნახევარმცველ ჯანფრანკო ძოლაზე. 30 წლის ფეხბურთელს ამჟამად ინგლისში მოლაპარაკება აქვს „ჩელსის“ ჰოლანდიელ მწვრთნელ რუუდ გულიტთან.

როგორც იტყობინებიან, ორწლიანი კონტრაქტი 13 მილიარდ ლირას (7,8 მილიონი დოლარი) შეადგენს. „ჩელსიში“ ძოლა თანაკლუბელ ჯანლუკა ვიალისა და რობერტო დი მატეოს შემდეგ მესამე იტალიელი ლეგიონერი იქნება. იტალიური გაზეთები ამის გამო განგაშს ტეხენ. მანამდე მარშრუტს აპენინები — ნისლიანი ალბიონი — დაადგნენ კოლუმბიელი ფაუსტინიო ასპრილია (გადავიდა „ნიუკასლში“) და შვედი თომას ბროლინი (გამოდის „ლიდს იუნაიტედში“). თუ გავითვალისწინებთ, რომ „პარმას“ კიდევ ერთი ნახევარმცველი, 27 წლის ლუკა ბუჩი ინგლისში გადაბარგებას აპირებს, ვინღა დარჩება გუნდში?

მსოფლიოს სატრანსფერო ბაზარზე ახლახანს კიდევ ერთი გარიგება მოხდა. ბრაზილიის კლუბ „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა კლებერ ლეიტმა დაადასტურა ცნობა იმის თაობაზე, რომ ამ გუნდისა და ბრაზილიის ნაკრების სახელგანთქმული თავდამსხმელი ბებეტო შეიძინა ესპანეთის „სევილიამ“. გარიგების დეტალები უცნობია.

P.S. მასალა მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ ჯანფრანკო ძოლამ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს „ჩელსისთან“. სამწლიანი კონტრაქტის ღირებულებამ 7,2 მილიონი დოლარი შეადგინა. ყოველ კვირას ძოლა 40 ათას დოლარს მიიღებს. ასე რომ, იგი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა. სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ძოლამ განაცხადა, რომ ელაპარაკა დი მატეოსა და რავანელის, რომლებმაც უთხრეს, ინგლისური ფეხბურთი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოა, ამიტომ „ჩელსიში“ გადასვლით კმაყოფილი ვარო.

რაი — უნებლიე ფეხბურთელი, რომელმაც არ იცოდა სად წაეღო იმდენი ფული

რაი სოუზა დე ოლივეირა

სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის სოკრატესის უმცროსი ძმა, დაიბადა 1965 წლის 15 მაისს ბრაზილიის პატარა ქალაქ რიბეირან პრეტოში. გამოდიოდა ადგილობრივ „ბოტაფოგოში“, „სან-პაულუში“. 1993 წლიდან ირიცხება საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენში“.

სან-პაულუს შტატის 1989, 1991, 1992 წლების ჩემპიონი, 1991 წლის ბრაზილიის ჩემპიონი, 1992, 1993 წლების ლიბერტადორესის თასის მფლობელი, 1992 წელს დაეუფლა საკონტინენტთაშორისო თასს. არის 1991 წლის სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის ბომბარდირი (20 გოლი), სამხრეთ ამერიკის 1992 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, 1994 წლის საფრანგეთის ჩემპიონი. 1995 წლის საფრანგეთის თასის, 1995-96 წლების ევროპის ქვეყნების თასების თასის მფლობელი. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი.

დღეს ამ ფეხბურთელის სახელი ყველას პირზე აკერია და არამარტო იმიტომ, რომ შარშანდელი საფეხბურთო სეზონი საუკეთესო იყო მის კარიერაში. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტნის და „პარი სენ-ჟერმენის“ ერთ-ერთი ლიდერის მთავარი მიმზიდველობა მხოლოდ მისი საფეხბურთო ნიჭი როდია. იგი ფილოსოფოსია, გულგახსნილი ყველასათვის. რაი პიროვნებაა და დღეს სწორედ ამ კუთხით გვინდა წარმოვაჩინოთ იგი.

სად ფეხბურთი და სად ბერძნული ფილოსოფია!

გასაოცარი ადამიანია რაიმუნდო ოლივეირა — რაის მამა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ჯაფა ადგა და ძლივსღა ინახავდა მზარდ ოჯახს, ახალგაზრდობაშივე გატაცებული იყო ბერძნული ფილოსოფიით. თავისი შინაგანი კულტურა, რასაკვირველია, შვილებზეც გადაიტანა. შემთხვევითი არაა, რომ პირველმა სამმა მისგან ძველბერძნული მოაზროვნეების — სოკრატეს, სოფოკლეს და სოსფენესის სახელები მიიღო. თუმცა დედამ, სულით ჭეშმარიტმა ბრაზილიელმა ქალმა მაინც იძალა და დანარჩენ სამს ტრადიციული ბრაზილიური სახელები მოუძებნა: რაიმუნდო, რაიმარი (ორივე მშობლის სახელების სინთეზი) და რაი (მამის სახელის პირველი მარცვალი), მაგრამ მათი აღზრდის პრინციპები იგივე დარჩა. მთავარ ღირებულებად ოჯახში ცოდნა ითვლებოდა. სწავლას, თვითგანათლებას მთავარი ადგილი ეჭირა შვილების აღზრდისას. აი, დანარჩენი, მათ შორის სპორტი, მეორეხარისხოვანი იყო.

სხვათა შორის, არაფერი შეცვლილა ოჯახში უფროსი შვილის სოკრატესის ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერის შემდეგაც. კვლავ თვლიდნენ, რომ სოკრატესი, ადრე თუ გვიან, კვლავ თავის ძირითად პროფესიას — ექიმობას დაუბრუნდებოდა (აქვს მედიცინის ბაკალავრის დიპლომი). ახლაც კი, როდესაც მისი უმცროსი შვილი რაი საფეხბურთო ზენიტშია, ოჯახის უფროსი თვლის, რომ მისთვისაც ფეხბურთი ძირითადი სამუშაო არ იქნება. მამას თვით რაიც ეთანხმება, თუმცა ამბობს, უფროს ძმაზე ძლიერ გაუჭირდება. საქმე იმაშია, რომ რაიმ უფრო ადრე მიატოვა სწავლა, ვინაიდან პროფესიული სპორტის მარწუხებში მოექცა.

რაი – უნებლიე ფეხბურთელი

რაი იგონებს: „პატარაობისას, როგორც ყველა ბრაზილიელი ბავშვი, მეც მიყვარდა ბურთის გაგორება. მაგრამ კითხვაზე და სხვა გართობაზე ძლიერ არა. კვირაში ორსამჯერ თამაშიც მყოფნიდა. დანარჩენ დროს სწავლა-განათლებას ვუთმობდი, რათა განსწავლულ მამასა და ძმებს არ ჩამოვრჩენოდი...“

და მაინც, ჭაბუკ რაის ცხოვრებაში ფეხბურთმა სულ უფრო იძალა. ძმის, სოკრატესის წარმატებებით შთაგონებული, იგი დაუღალავად იმაღლებდა ოსტატობას, რამაც ბოლოს თანატოლებიდან გამოარჩია კიდეც. რიბეირან პრეტოში, სადაც ოლივეირა ცხოვრობდა, არის პროფესიული კლუბი „ბოტაფოგო“ (არ აგერიოთ რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგოში“ — რედ.) იგი შტატის პირველობაში გამოდის. ერთხელაც კლუბის სელექციონერებმა ყურადღება მიაქციეს 16 წლის რაის. „ბრაზილიურ კლუბებში დანერგილია ასეთი პრაქტიკა: ბავშვთა საფეხბურთო სკოლების „გამსვლელი სესიის“ ჩატარება. მწვრთნელი ჩამოდის რომელიღაც რაიონში, აგროვებს ბავშვებს და ატარებს მატჩს. ხშირად ასეთი შეხვედრის შემდეგ იგი თავის გუნდში იწვევს პერსპექტიულ ბიჭუნებს. ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაშიც...

მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, თუმცა კარიერის დასაწყისისთვის აუცილებელი პირობა იყო. ჭაბუკმა არ მოინდომა ფეხბურთელობა და კვლავ სწავლას დაეწაფა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, რომ არა ერთი შემთხვევა — ამის შესახებ მხოლოდ რაის ახლობლებმა იცოდნენ: „17 წლისამ 16 წლის საცოლეს შევატყვე, რომ ბავშვი გვეყოლებოდა. სასწრაფოდ დავიწყე სამსახურის ძებნა — მომავალ ოჯახს ხომ უნდოდა რჩენა!“

რაი წავიდა „ბოტაფოგოში“ და კლუბის პრეზიდენტს უამბო თავისი გასაჭირი. არსებული წესებით, უსტაჟიერებოდ რაის არ შეეძლო კლუბთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება. ამიტომ პრეზიდენტმა იგი კლუბში მუშად გააფორმა, თუმცა, რასაკვირველია, რაის ძირითადი საქმიანობა ფეხბურთი იყო.

სად წავიღო ამდენი ფული?

იცოდა რაიმ, რომ ამით ნაბიჯი გადადგა დიდებასა და დოვლათისაკენ? „რასაკვირველია, არა. მანამდე ფეხბურთი ჩემთვის იყო მეორეხარისხოვანი. და, აი, დადგა დრო, რომ სწორედ ფეხბურთით უნდა მერჩინა თავი. ეს არ მსურდა. სხვა სამსახური მინდოდა, პარალელურად სწავლის გაგრძელებაზეც ვფიქრობდი.“ მაგრამ „ბოტაფოგოს“ ნახევარმცველის პროგრესი აშკარა იყო და ერთ მშვენიერ დღეს მან ფანტასტიკური მიწვევა მიიღო... ქვეყნის ნაკრებში, რომელიც ინგლისში, ტურნირზე მიემგზავრებოდა. „რადიოთი ნაკრების შემადგენლობას რომ ვისმენდი, არ მჯეროდა. ნუთუ მწვრთნელებმა ნაკრებისთვის მოთამაშე ასეთ პერიფერიაში უნდა მოძებნონ?“ და მაინც, ეს ჭეშმარიტება იყო და ერთი თვის შემდეგ რაი ბრაზილიის ნაკრები გუნდის მაისურით გამოვიდა სახელგანთქმულ „უემბლიზე“, ხოლო კიდევ რამდენიმე დღეში პირველი გოლიც გაიტანა შოტლანდიელებთან შეხვედრაში.

რაიზე მთელი ბრაზილია ალაპარაკდა, ამიტომ არავის გაუკვირდა, იგი სახელგანთქმულ „სან-პაულუში“ რომ გადავიდა, რომლის შემადგენლობაშიც 1989 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად ორი წოდების მფლობელი მაინც ხდებოდა.

ამ პერიოდში რაის განსაკუთრებით დაამახსოვრდა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი ტოკიოში, 1992 წლის დეკემბერში: „სან-პაულუმ“ იმ დღეს დაამარცხა სახელგანთქმული „ბარსელონა“ 2-1, და ორივე გოლი რაიმ გაიტანა. იგი ვარსკვლავად შერაცხეს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა იგივე დარჩა. „მთავარ უხერხულობას ჩემთვის, არ გაგიკვირდეთ, ფული წარმოადგენდა. მამამ ბავშობიდანვე მასწავლა მისი ყაირათიანად ხარჯვა და, ვხედავდი რა ირგვლივ გამეფებულ სიდუხჭირეს, მეუხერხულებოდა ჩემი შემოსავლისა, უბრალოდ, არ ვიცოდი სად წამეღო ამდენი ფული. მამასა და ძმებს იგი არ სჭირდებოდათ — თითოეული მათგანი თავისი შრომით შოულობდა და არა მგონია თანხმობა განეცხადებინათ ჩემგან მიეღოთ დახმარება.“

ახლა კი რაიმ იცის, რაში დახარჯოს ფული, რომელიც მან საფეხბურთო კარიერაში მოაგროვა. „პირველყოვლისა, რიბეირან პრეტოში გავხსნი სკოლას, პატარას, ასე, ოცდაათ მოსწავლეზე. იქ ნამდვილი სრულყოფილი სწავლა უნდა იყოს. კიდევ მინდა გავხსნა რაღაც საწარმო, რათა ცოტათი მაინც შევეშველო უმუშევრობით დატანჯულ ხალხს“. იდეალისტია? შეიძლება, ბევრს ასეთად წარმოუდგენია რაი. მაგრამ ცხოვრებაში ის უბრალო კაცია, რომელსაც აქვს თავისი მსოფლმხედველობა, შეხედულება ამა თუ იმ პრობლემაზე და, რომელიც მუდამ მზად არის დაეხმაროს ირგვლივ მყოფთ. „სწორედ ეს არის ადამიანის ღირსება — სწრაფვა იქითკენ, რომ დაეხმარო შენს ახლობლებს, მეგობრებს, უბრალო მოქალაქეებს — ასეთია რაის კრედო, — როდესაც სიბერეში განვლილ ცხოვრების გზას თვალს გადაავლებ, სიამოვნებას მომანიჭებს, რომ ადამიანებს მოაგონდებათ, როგორ ვთამაშობდი ფეხბურთს. მაგრამ მინდა აგრეთვე მათ მოვაგონდე, როგორი ადამიანი ვიყავი...“

„ადამიანს ჰგონია, რომ რაღაცას ირჩევს, სინამდვილეში კი ყველაფერს ბედისწერა წყვეტს“ – ამბობს სმისლოვი.

როგორც მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი ვასილ სმისლოვი აცხადებს, იგი, შეიძლება ითქვას, პროფესიონალი მოჭადრაკეა 14 წლის ასაკიდან. ამ დროიდან მოყოლებული სისტემატურად მონაწილეობს შეჯიბრებებში და წელიწადში დაახლოებით 50 პარტიას თამაშობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის მას 3 ათასზე მეტი სატურნირო პარტია ჩაუტარებია. რა თქმა უნდა, აქ იყო თავმოსაწონი გამარჯვებებიც და გულდასაწყვეტი დამარცხებებიც. მაინც, რომელია ყველაზე უფრო სამაყო?

— ამას წინათ გამოვიდა ჩემი წიგნი „საჭადრაკო შემოქმედების მატიანე“. ესაა ჩემი თავისებური შემოქმედებითი ანგარიში მრავალწლიანი საჭადრაკო გამოსვლების შემდეგ. წიგნში შევიტანე 326 გამარჯვებით დაგვირგვინებული პარტია. ის პარტიებიც, რომლებიც წავაგე, დეე, ჩემმა მეტოქეებმა დაიტრაბახონ.

♦ გამოჩენილი თეორეტიკოსი ხართ, მთელ რიგ სადებიუტო სისტემებს თქვენი სახელი ჰქვია. ამასთან, ყველა გიცნობთ, როგორც ენდშპილის აღიარებულ კორიფეს. როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდა მოჭადრაკემ წარმატების მისაღწევად უმთავრესად რაზე უნდა იმუშაოს?

— დებიუტი დიდ როლს ასრულებს, ამას არავინ უარყოფს. მის შესასწავლად კომპიუტერებსაც კი იყენებენ. შეხვედრებმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან დამარწმუნა, რომ დებიუტი მათ კარგად შეუსწავლიათ, ენდშპილს კი გაცილებით უარესად თამაშობენ. ამიტომ ვამტკიცებ, რომ საჭადრაკო ოსტატობის დაუფლების საიდუმლოება ენდშპილშია. ამიტომაც ვუწოდე ჩემს ერთ-ერთ წიგნს „ენდშპილის ხელოვნება“. შემთხვევითი როდი იყო, რომ კაპაბლანკა ახალგაზრდებს ჭადრაკის შესწავლის დაწყებას ენდშპილში ვარჯიშით ურჩევდა.

♦ თავიდან რომელი წიგნების შემწეობით ეუფლებოდით ჭადრაკს?

ვასილ სმისლოვი

— ასეთი წიგნი ორი იყო: დიუფრენის „თვითმასწავლებელი“ და. ლასკერის „ჯანსაღი აზრი ჭადრაკში“. შემდეგში ჩემი, როგორც მოჭადრაკის, ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა კაპაბლანკას, ალიოხინის, ტარაშის, ნიმცოვიჩის წიგნებმა.

♦ რომელმა დიდმა ოსტატებმა მოახდინეს ახალგაზრდობაში თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?

— ბავშვობაში მამასთან ერთად ვესწრებოდი მოსკოვის 1935 და 1936 წლების საერთაშორისო ტურნირებს. ყურადღებას ყველაზე უფრო ლასკერისა და კაპაბლანკას თამაში იპყრობდა. დიდი კუბელი მხიბლავდა თავისი მსუბუქი, ბუნებრივი თამაშით, რაშიც ჩანდა მისი განუმეორებელი ინტუიცია, ლასკერი კი გამოირჩეოდა უდიდესი ენერგიით, მთელი პარტიის განმავლობაში იგი დაფას არ სცილდებოდა.

♦ ხომ ვერ დაასახელებდით ყველა დროისა და ხალხების სიმბოლურ ნაკრებს?

— არა, იმიტომ რომ ყველა ჩემპიონი თავისი ეპოქის წარმომადგენელი იყო, კასპაროვს კი ჩვენს დროში უკვე კომპიუტერთან უხდება ბრძოლა. ყოველი ეპოქა თავის აზრებს, იდეებს გამოხატავს, ჩემპიონი კი მათი განმახორციელებელია.

♦ თვალყურს ადევნებთ ახალ მიმდინარეობებს ჭადრაკში. მოგეხსენებათ, ფიდეს ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა მსოფლიო პირველობის ახლებური სისტემით ჩატარების იდეა წამოაყენა.

— უფრო ტრადიციულ მატჩებში ვმონაწილეობდი, რომელთაც მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე უნდა გამოევლინა. ახლა როგორც ვფიქრობ, მოეწყობა ექსპერიმენტული შეჯიბრება, უბრალოდ რომ ვთქვათ, უფრო კომერციული მიზნით. საერთოდ, თანამედროვე ჭადრაკი, მინდა აღვნიშნო, შოუს შექმნის მიმართულებით ვითარდება. ახლა იოლია საჩვენებელი ხასიათის შეჯიბრების მოწყობა, ორსამ დღეში, რომელშიც მოჭადრაკეთა დიდი რიცხვი მონაწილეობს. ჩქარდება თამაშის ტემპი. აქტიურმა ჭადრაკმა, რომელიც 25 წუთით შემოიფარგლება, ფაქტობრივად დაანგრია ჭადრაკი. დიდი სიამოვნებით ვიგონებ, ლასკერის, კაპაბლანკას, ალიოხინის, ბოტვინიკისა და მათ რიცხვში, თქვენი მონამორჩილის თამაშს.

♦ ბოტვინიკმა საინტერესო მემუარები დაგვიტოვა, თქვენ კი ამ მხრივ არაფერს წერთ, რა, ჯერ არ დამდგარა მათი წერის დრო?

— საჭიროა ძალიან ბევრი რამის გახსენება, ეს კი ჩემთვის მეტად ძნელია.

♦ ცნობილია, რომ შესანიშნავი ბარიტონი გაქვთ. ჰოლანდიაში თქვენი ფირფიტა გამოვიდა, მოსკოვის კონსერვატორიის სცენაზე კონცერტები გამართეთ, ისიც კი თქვით, რომ წარმატებით საკონცერტო მოღვაწეობისათვის მხოლოდ ერთი რამ გაკლიათ — ფრაკი.

— ფრაკი ახლაც არა მაქვს, მაგრამ სმოკინგი კი ვიყიდე. ისე რომ, ახლა აღარაფერი მიშლის ხელს. სამწუხარო კია, რომ მომღერალს უფრო მეტ პატივს სცემენ უცხოეთში, ვიდრე სამშობლოში, ფირფიტის გავრცელება მხოლოდ ჰოლანდიაში გახდა შესაძლებელი. „ბი-ბი-სიმ“ მთელი ნახევარსაათიანი მიმოხილვა მომიძღვნა: გადაიცა ჩემი მუსიკალური ჩანაწერები.

♦ ხომ არ ნანობთ, რომ მოჭადრაკის კარიერა არჩიეთ მომღერლისას?

— უნდა მოგახსენოთ, ადამიანს ჰგონია, რომ იგი რაღაცას ირჩევს. სინამდვილეში კი ყველაფერს ბედისწერა წყვეტს. რა მაქვს სანანებელი, როცა ჭადრაკში კარგ შედეგებს მივაღწიე, რაც არ უნდა იყოს, მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. სიმღერის სფეროში კი ჩემს შესაძლებლობებს უფრო მკაცრად მიუდგებოდნენ.

ასეთი ასაკის მოჭადრაკე რომ წარმატებით განაგრძობს გამოსვლას საერთაშორისო ტურნირებში, ეს მხოლოდ ერთი რამით — მისი, მართლაცდა, უნიკალური ტალანტით უნდა აიხსნას.

გადადებული მატჩები დაინიშნა

როგორც იქნა, დაინიშნა საქართველოს თასის ბოლო მეთექვსმეტედფინალური მატჩი: თბილისის „დინამო-2“ — გორის „დილა“ 19 ნოემბერს შედგება. მანამდე კი, 17 ნოემბერს გაიმართება საქართველოს პირველობის მეორე ტურიდან გადადებული შეხვედრა — თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ერთმანეთს შეერკინებიან თბილისის „დინამო“ და ზესტაფონის „მარგვეთი“.

„კოკა-კოლას“ თასს ქუთაისელები დაეუფლნენ

უფროსი ტორპედოელების უხეირო თამაშით განაწყენებულმა 15-წლიანმა თანაკლუბელებმა შური იძიეს: რამდენიმე დღის წინათ დასრულებულ ფეხბურთში „კოკა-კოლას“ თასის გათამაშებაში მათ პენალტებით თბილისის დინამოელებს სძლიეს (ძირითადი დრო – 1-1).

საპატიო თასის გარდა ქუთათურმა მოზარდებმა უფლება მოიპოვეს გაემგზავრონ თურქეთში ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

● **ცნობილი** იტალიელი ფეხბურთელის, 36 წლის ფრანკო ბარეზის მაგალითი (მან მოსკოვის ბავშვთა სახლიდან პატარა ბიჭი აიყვანა) გადამდები ყოფილა: ორი შვილის მამამ, ვლადიკავკაზის „ალანიის“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა ორნახევარი წლის გოგონა იშვილა.

● **საფრანგეთის** 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პირველობის ფინალური ტურნირის პირველი წრის მატჩებზე დასასწრები ბილეთები 30-70 დოლარი ეღირება, ხოლო ფინალურისა — 350-2950 დოლარი.

● **არც** ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიოში №1 ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ ახლა გატაცებულია მუსიკით. მან ჩამოაყალიბა მუსიკალური როკ-ჯგუფი „ჯონი სმით ბანდი“ და გასტროლებს მართავს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი კონცერტები (თვით მაკინროუ გიტარაზე უკრავს) მოეწყო პარიზში, სან-ფრანცისკოში, სიეტლსა და ტოკიოში.

ჯონ მაკინროუს კიდევ ერთი საქმიანობაა თანამედროვე ხელოვნების პროპაგანდა. მან იაპონიის დედაქალაქში თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებების გამოფენა მოაწყო.

რაც შეეხება ჩოგბურთს, აქ მაკინროუ მხოლოდ ვეტერანების ასპარეზობებში გამოდის.

● **მსოფლიო** ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ამიერიდან განთქმული შვეიცარიული ფირმის „ოდემარ პიგეს“ მაჯის საათების რეკლამირება ივალდებულა. როგორც შვეიცარიული პრესა იუწყება, ჩემპიონისა და ფირმის მესვეურების ამ შეთანხმებაში სხვა საიდუმლო პუნქტიც არის, რომელიც როგორც თვით „ოდემარ პიგეს“ ხელმძღვანელებისაგან გახდა ცნობილი, გარიგება უკვე არა საათების, არამედ რაღაც სხვა პროდუქციის რეკლამას უნდა ეხებოდეს. რო[illegible]ის?

„ოდემარ პიგეს“ საათებს „სამეფო მუხა“ ეწოდება. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემპიონს 1991 წელს საკუთარი ფულით შეუძენია ეს „სამეფო მუხა“, შემდეგ კი...

საჭადრაკო ამოცანა

ს. პოდუშკინი



შამათი 3 სვლაში

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში

ნოდარ ვალერიანის ძე
გვახარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ზაფხულის XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორი წყალბურთში

ნოდარ გვახარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, გამოჩენილი ქართველი წყალბურთელი

ნოდარ გვახარია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მხატვრულ ტანვარჯიშში ნელი სალაძეს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ოთარ ანანოვს მეუღლის გარდაცვალების გამო.

შერეული კროსვორდი



თარაზულად: 5. ქალაქი აშშ-ში, სადაც ჩატარდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, 7. მთათა სისტემა აშშ-სა და კანადაში, 8. გერმანელი მოღვაწე — დასავლეთ ევროპის უდიდესი საგაზეთო-საგამომცემლო კონცერნის დამაარსებელი, 11. ცნობილი რუსი პოეტი, მოღვაწეობდა ამ საუკუნის დასაწყისში, 12. საზეიმო სიმღერა, სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლო, 13. კანადის დედაქალაქი, 16. პოპულარული იტალიელი საესტრადო მომღერალი ქალი, 17. ამჟამად მოქმედი ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 21. ქართული გაზეთი, 22. ფულის ერთეული ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, 23. ავიაკომპანია საქართველოში, 26. მეცნიერებათა კომპლექსი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანის შესახებ, 27. ჩუკოტკის ავტონომიური ოლქის ცენტრი, 28. დიდი მთათა სისტემა ევროპაში.

შვეულად: 1. ბოსტნეული, 2. დისტანციის ნაწილი ესტაფეტაში, 3. მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოები, 4. საზღვაო პორტი უკრაინაში, 6. ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში, 9. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი, 10. ყოველთვიური ფულადი დახმარება, რომელიც სტუდენტებს ეძლევათ, 14. სიმებიანი საკრავი, 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, ქვეყნის ჩემპიონი, 18. შტატი აშშ-ში, 19. ყოფილი იუგოსლავიის ნაწილი, 20. საგნის კონტურები, 24. ყველაზე „ტკბილი“ დაბა საქართველოში, 25. ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ქონება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ბარქაია, 7. ადემირი, 8. „გიმარაეში“, 11. აზოტი, 12. შონია, 13. საუნა, 16. იაშინი, 17. კაუნიო, 21. იმელი, 22. ბესტი, 23. სინაუ, 26. „ედინბურგი“, 27. სინიორი, 28. სტოპორი.

შვეულად: 1. შაპუზა, 2. ტისიე, 3. „ოდიში“, 4. ბროშინი, 6. ხარინი, 9. ატუაშვილი, 10. ჟაირზინიო, 14. „ნანტი“, 15. პრატი, 18. ამანსიო, 19. ესებუა, 20. პარეირა, 24. ედერი, 25. იგიტა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096. მ.კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

„ლელო“ სამადგილო-კომპიუტერული სისტემა ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები ი. სიდამონიძე, მ. წოწორია, ნ.რამიშვილი